

უცხოური ქართველოლოგია KARTVELIAN STUDIES ABROAD

ვინფრიდ ბოედერი
ოლდენბურგის უნივერსიტეტი

ძველი ქართული*

[135] კლასიკურ ძველ ენებთან – ბერძნულთან და ლათინურთან შედარებით, ძველი ქართული [საქართველოს გარეთ] ნაკლებ ცნობილი ენაა და თვით ენათმეცნიერები, რომლებიც თავის ემპირიულ და თეორიულ ნაშრომებში იმოწმებენ, ჩვეულებრივ ამ ენის დღევანდელ ფორმას ამჯობნიებენ. თუმცა, ძველი ქართული მრავალი თვალსაზრისითაა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი: იგი არის კერძო ენობრივი ფორმა, რომელიც ყველა დონეზე მნიშვნელოვანი თვისებებით განსხვავდება თანამედროვე ქართულისგან და ამოსავალ წერტილს წამოადგენს ქართული ენის 1500-წლოვანი ისტორიის განსახილველად. ის არის, აგრეთვე, არა მხოლოდ ენის ძველი ‘საფეხური’, არამედ ტიპური მაგალითი კლასიკური ძველი ენისა, რომლის კულტურული მნიშვნელობა XIX საუკუნის დასაწყისამდეც და უფრო გვიანაც სამაგალითოა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით. დაბოლოს, იგი საყურადღებო ლიტერატურის ენაა.

ქვემოთ განხილული იქნება ამის შესაბამისი საკითხი, თუ რას ნიშნავს ქართულის შემთხვევაში ცნება ‘ძველი ენობრივი საფეხური’ და ‘ძველი ენა’ და როგორ განისაზღვრებოდა ან, შესაბამისად აღიქმებოდა და აღიქმება ის, რასაც დღეს ‘ძველქართულს’ ვუწოდებთ,

* “Altgeorgisch”, კრებულში: “*Alte Sprachen. Beiträge zum Bremer Kolloquium über “Alte Sprachen und Sprachstufen”* (Bremen, Sommersemester 2003). Herausgegeben von Thomas Stolz (= *Diversitas Linguarum* 8). Bochum: Universitätsverlag Dr. N. Brockmeyer, 2004, გვ. 135–165. კუთხოვანი ფრჩხილები გამოიყენება იმ დამატებითი ინფორმაციისა და ბოლოში დართული ‘დამატებების’ აღსანიშნად, რომელიც არ არის მოცემული დედანში და რომელიც თარგმნა ნინო დობორჯგინიძემ. კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული რიცხვები მიუთითებს დედნის გვერდებზე (135–143). დედნის მეორე ნაწილი (143–160) ეხება ძველი ქართულის ენობრივ ხასიათს.

ერთი მხრივ, ენათმეცნიერთა და, მეორე მხრივ, თვით ქართველთა წარმოდგენაში.

[136] 1. XIX საუკუნიდან მოყოლებული, მიჩვეული ვართ ერთგვარ სისტემურ პერიოდიზაციას, რომლის დროსაც ახალი ენობრივი საფეხურების ძველებთან შეპირისპირება და ხანდახან დამატებით ერთი შუალედური საფეხურის პოსტულირებაც ხდება: ძველი ზემო გერმანული – საშუალო ზემო გერმანული – ახალი ზემო გერმანული; ძველი ინგლისური – საშუალო ინგლისური – ახალი ინგლისური და ა.შ. ამგვარი პერიოდიზაცია ემყარება გარკვეული ეპოქების ტექსტების ენობრივი თვისებების შედარებით ჰომოგენურობას და ენობრივი მასალის კონვერგენციას ისტორიულ, კულტურულ-ისტორიულ და სოციალ-ისტორიულ ფაქტებთან. ნავარაუდები პერიოდები იძლევა ენობრივი მდგომარეობის და მეტწილად აგრეთვე ლიტერატურ-ისტორიულ ეპოქათა ოპტიმალური აღწერის საშუალებას. სწორედ ეს ოპტიმალურობაა პერიოდიზაციის მიზეზი და აზრი და ის სახავს აგრეთვე ენის ისტორიოგრაფიის ძირითად პერსპექტივას – ლიტერატურის ისტორიის მსგავსად.¹

უმეტეს შემთხვევაში ცოტაა აზრთა უთანხმოება იმის შესახებ, თუ რა ენობრივი პერიოდები უნდა დადგინდეს; ინგლისურის და გერმანულის შემთხვევაში, ასე თუ ისე, შეიძლება კამათი იმაზე, თუ რომელი მრგვალი თარიღით უნდა დამთავრდეს, ვთქვათ, მაგალითად, საშუალო ინგლისური ან საარგუმენტაციო გახდეს, თუ რატომ უნდა იყოს ადრეული ახალი ზემო გერმანული პერიოდი *sui generis*; შესაძლებელია გარკვეული დეტალიზაციაც, როგორც, მაგ. ‘ადრინდელი საშუალო ზემო გერმანული’ ან ‘გვიანდელი ძველი ინგლისური’ და სხვა ამგვარი. ყველა ამ შემთხვევაში გადაამწყვეტია ენობრივი ფორმის ე. წ. ობიექტური ფაქტები: ერთი ენის X პერიოდი ბგერითი, მორფოლოგიური და სხვა ნიშნებით Y პერიოდისგან უფრო განსხვავდება, ვიდრე X პერიოდის ქვეპერიოდი X₁ მისივე ქვეპერიოდი X₂-სგან და ა.შ. კრიტიკური შიშა პერიოდის შედარებითი **ენობრივი** ერთგვაროვნება.

თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იმას, რომ ეს ფორმალური მსგავსება მხოლოდ წერილობით კორპუსებს ეხება და პერიოდების დისკრეტულობამ შეცდომით არ უნდა დაგვაფიქვოს, რომ თაობები განუწყვეტილი ხაზით ერთი მეორეს გადასცემენ ენას, ამგვარი პრაქტიკული მიდგომა არცთუ ისე ცუდია.

ამგვარად მიუდგა საკითხს ზოგიერთი ქართველი ფილოლოგიც და მხოლოდ წმინდა ენობრივი ფაქტების საფუძველზე ორ ან სამ

1 ეპოქებისა თუ პერიოდების მასალის მიხედვით განსაზღვრის საჭიროებისთვის იხ. ფურმანი 1983: 543.

ნაწილად დაჰყვეს ქართული ენის 1500-წლოვანი დოკუმენტირებული ისტორია, მაგ. ძველი ქართული V-დან XI საუკუნემდე, საშუალო ქართული XII-დან XVII საუკუნემდე და მას მარე – ახალი ქართული. ტიპურად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, ლაპიდარული დასკვნა ერთი ქართველი ენათმეცნიერისა, რომელიც ქართული ენის სხვადასხვა პერიოდის ენობრივ ნიშანთა გულმოდგინე აწონ-დაწონისას აღნიშნავს: „ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრობლემა მხოლოდ ენის ისტორიის დეტალური შესწავლის შემდეგ შეიძლება გადაიჭრას“ (სარჯველაძე 1984: 12; 1991). ენის ისტორიაში აქ მხოლოდ ფორმის ცვლა იგულისხმება. მაგრამ პერიოდიზაცია ისეთივე საქმეა, როგორც [137] ერთი ენის კილოთა უწყვეტობის დანაწევრების შემთხვევაში დისკრეტულ ისტორიულ დიალექტებად, როგორცაა, მაგალითად, შვაბური ან რაინის არეალის დიალექტები. შესაბამის ენებზე მოლაპარაკეთათვის მხოლოდ იზოგლოსები და ფორმის ცვლის კრიტერიუმები კი არაა გადამწყვეტი, არამედ აგრეთვე ისტორიულად განპირობებული ალქმა და შეფასება ამ განსხვავებებისა. ენის ისტორიული პერიოდების, როგორც ენათმეცნიერების მიერ წარმონაქმნი კონსტრუქტების გვერდით არსებობს ენობრივი პერიოდები, რომელთა საზღვრებიც ისტორიულად, კულტურულად და სოციალურადაა განპირობებული. შესაბამისად, ცნებები, როგორცაა, ‘ძველი ენა’, მათ შესაბამის [თითოეულ] კონტექსტში უნდა იქნეს გააზრებული.

2. [ახლა განვიხილოთ ცნება ‘ძველი ენის’ რამდენიმე მნიშვნელობა]

[2.1] ჯერ კიდევ კონრად გესნერი (Konrad Ges[s]ner) ახსენებს 1555 წელს ‘ძველ ენებს’ (*linguae veteres*), რომლებიც დღევანდელ ენებს უპირისპირდება (*linguae quae hodie in usu sunt* ‘ენები, რომლებიც დღეს იხმარება’). ასე განასხვავებს ის ძველ ბერძნულს დღევანდელი ბერძნულისგან *lingua Graeca vetus* p. 44v – *lingua Graeca vulgaris hodie*, p. 46v), თუმცა აგრეთვე უპირისპირებს გალურს, რომელიც სულაც არ წარმოადგენს ძველ ფრანგულს, ‘უფრო ახალ’ გალურს, ანუ ფრანგულს *de Gallica lingua, vetere primum, deinde recentiore*, სათაური გვ. 17v).

ეს არის ‘ძველი ენის’ ქრონოლოგიური ცნება, მონათესავე ‘საყოველღეო’ [საკომუნიკაციო] ცნებისა, რომელიც უბრალოდ იმას აღნიშნავს, რომ წინანდელი ენა სხვანაირი იყო, ვიდრე დღევანდელი, რადგან ის დროთა განმავლობაში შეიცვალა და ამ თვალსაზრისით ის წინანდელი ‘დაძველდა’ [და ამის გამო გაუგებარია]². ამ აზრით ლა-

2 მაშასადამე ჩვეულების (‘უსუსის’) შეცვლასთან გვაქვს საქმე. ბევრი საუკუნის განმავლობაში ამ წარმოდგენის კლასიკური გამოხატვა იყო ჰორაციუსის ფორმულირება: “*multa renascentur quae iam cecidere cadentque / quae nunc sunt in honore*

პარაკობს, მაგალითად, უილიამ კაქსტონი (William Caxton) 1490 წელს ‘old englysshe’-ზე, რომლის გაგება უჭირს, იმიტომ რომ ენა შეიცვალა, რადგან ‘our language now used varyeth ferre from that which was used and spoken whan I was borne.’ ასეთ ადგილებში ენის ‘დაძველება’ მუდმივი პროცესია და არის საფუძველი არა ‘ძველი’ და ‘ახალი ენის’, არამედ გასაგები და გაუგებარი ფორმების გასამიჯნად.

ამავე კატეგორიაში უნდა გავიგოთ ‘ძველი ქართულის’ ალბათ უძველესი დამოწმება, სახელდობრ, XVI საუკუნეში აღმოსავლეთში მოგზაური ფრანგის – ჟან შარდენისა (Jean Chardin), რომელიც – როგორც პროტესტანტი – კრიტიკული სიფხიზლით³ მიუთითებს მეგრელთა უმეტესობისთვის გაუგებარი ამ ენობრივი ფორმის ხმარებაზე ეკლესიაში: „ამ უბირ ხალხში არავის ესმის ბიბლია და არავინ კითხულობს, რადგან მცირედნი თუ იქნებიან, ვინც კითხულობს ან იცის წინანდელი (‘ძველი’) ქართული, ერთადერთი ენა, რომელზეც მათ საღმრთო წერილი აქვთ. მათგან ქალებმა კაცებზე მეტი იციან [და] ყვებიან ხოლმე ხანდახან სახარების ამბებს, წაკითხულს და ზეპირად ნასწავლს.“⁴

[138-139]⁵ [2.2] ამ ხანებში ჩნდება აგრეთვე ცნება ‘ძველი ენებისა’, როგორც ‘ძველთა’, ანუ ბერძენთა და რომაელთა ენებისა ან მათი ლიტერატურის (შდრ. ლიტერატურული ‘querelle des anciens et

vocabula, si volet usus, / quem penes arbitrium est et ius et norma loquendi?” (*Ars Poetica* 70-72) (ბევრი სიტყვა, რომელიც უკვე გადავარდა და გადავარდება / და რომელსაც ახლა პატივს სცემენ, გამოცოცხლდება, თუ ჩვეულებას უნდა, რომელსაც ეკუთვნის გადაწყვეტილება და წესი და ნორმა ლაპარაკისთვის).

3 შდრ. ადრეული რეფორმატორული პათოსი გესნერთან (1555, წინასიტყვაობა): “Deo [...] gratiae debentur, quod ut universam sinceream nostris temporibus innotescere, ac variis illustrari linguis sacram scripturam largitus est: ita orationes quoque sacras et psalmos quaecunque ad verae pietatis professionem cultumque pertinent, diversae nationes hodie (nostra memoria) privatim publiceque in templis, invito Antichristo, sua quaeque vernacula lingua proferre incoeperint.” (ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ, როგორც მისი მადლით ჩვენი დროის უნივერსალური, გაუყალბებელი რელიგია აუწყა და საღმრთო წერილი სხვადასხვა ენაზე გაბრწყინება აჩუქა, ასევე სხვადასხვა ერებმა ჭეშმარიტი ღმრთისმოსავობის აღიარებისა და აღსრულებისთვის საჭირო წმინდა ლოცვათა და ფსალმუნთა თქმა დღეს, (რაც თავი გვახსოვს) შინაც და საჯაროდაც, ტაძრებშიც, ანტიქრისტეს ჯიბრზე, თავთავიანთ მშობლიურ ენაზე დაიწყეს) (წინასიტყვაობა). “Diversi autem populi cultus sacros in templis Latine tantum peragunt, ita ut plebe non intelligantur” (სხვადასხვა ერები კი ღვთისმსახურებას ეკლესიაში მხოლოდ ლათინურ ენაზე ატარებენ, ისე რომ ხალხი ვერ იგებს.) (გვ. 3r).

4 “Il n’y a personne parmy ce peuple ignorant qui entende la Bible, ou qui la lise, le nombre étant tres-petit de ceux qui savent lire ou entendre l’ancien Georgien, qui est le seul idiome auquel ils ont l’Ecriture Sainte. Les femmes en savent un peu plus que les hommes, racontent par fois des histoires de l’Evangile qu’elles ont lües & aprises par cœur” (Chardin 1686: 94-95).

5 [გერმანული დედნის 138-139 გვერდებზე აბზაცების თანმიმდევრობა შეცვლილია, შინაარსი კი – არა, აღნიშნული დამატებების გარდა.]

modernes' (კამათი ძველთა და დღევანდელთა) XVII საუკუნის მიწურულის საფრანგეთში). ინგლისურ ტრადიციაში აქ, ჰუმანისტური 'ancients' ცნების ყაიდაზე, 'ancient languages' ითქმება, განსხვავებით დანარჩენ შემთხვევებში ხმარებული 'old'-ისგან.

[2.3] ენის გარდა, ძველი ტექსტების ენები ამიერიდან არა მარტო 'ხმარებიდან გამოსული' შეიძლება იყოს, როგორც გესნერთან, არამედ 'მკვდარ ენებად' იქნას მიჩნეული, – ცნება, რომელსაც ანტუან ფურეტიერი თავის *Dictionaire Universel*-ში განსაზღვრავს ენის დაუფლებითა და სოციოლოგიური თვალსაზრისით:⁶ „არსებობს მკვდარი ენებიც, რომლებზეც აღარავინ ლაპარაკობს, რომლებიც მხოლოდ ავტორთა [თხზულებებში] არსებობს და რომელთა შესწავლაც გრამატიკის წესების მეშვეობით ხდება,⁷ როგორებიცაა ლათინური და ბერძნული ევროპაში, არაბული აღმოსავლეთთან და მაღალი ენა [ე.ი. იავას ენა] ინდოეთში [ე.ი. ინდონეზიაში]. ცოცხალი ენები ისინია, რომელთა შესწავლა კაცს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხებთან ხშირი ურთიერთობით შეუძლია“⁸ (Antoine Furetière 1690, s.v. *langue*).⁹ [მსაგავსი წარმოდგენე-

6 ამ მინიშნებას ვუმაღლი ჰოლგერ ბეკერს (Dr. Holger Becker, ოლდენბურგი).

7 ეს აგრეთვე დანტეს კრიტერიუმიცაა ხალხური ენისა ('vulgare') და ლათინური სალიტერატურო ენის გასამიჯნად (*De vulgari eloquentia* I, 1): *Vulgarem locutionem asserimus, quam sine regula nutricem imitantes accepimus. Est et inde alia locutio secundaria nobis, quam Romani gramaticam vocaverunt. Hanc quidem secundariam Greci habent et alii, sed non omnes; ad habitum vero huius pauci perveniunt, quia non nisi per spatium temporis et studii assiduitatem regulamur et doctrinamur in illa.* (ხალხურს ვეძახით ენას, რომელიც წესის გარეშე მივიღეთ ძიძის მიზაძვის მეშვეობით. გვაქვს აგრეთვე მეორადი ენა, რომელელები გრამატიკას რომ უწოდებდნენ. ეს მეორადი ენა აქვთ ბერძნებსა და სხვებს, ოღონდ ყველას არა. მათი ხმარება მხოლოდ ცოტათა ხვედრია, რადგან მხოლოდ დროის მანძილზე და გარკვეული ბეჯითი სწავლით შევძლებთ გავიწაფოთ და დავეუფლოთ მას.)]

8 “Il y a aussi des langues mortes qu'aucun peuple ne parle plus, qui ne subsistent que dans les Auteurs, & qu'il faut apprendre par les regles de la Grammaire, comme le Latin & le Grec en Europe, l'Arabe chez les Levantins, & la *langue* Malaye aux Indes. Les *langues* vivantes sont celles qu'on peut apprendre par la fréquentation des peuples qui la parlent.”

9 [ეს განსაზღვრება, რომელიც ენის შექმნასა და არსებობის სტატუსს ემყარება, უგულვებელჰყოფს იმ კულტურულ და სოციოლინგვისტურ პირობებს, რომელშიც საერთოდ წამოიჭრება საკითხი 'მკვდარი' და 'ცოცხალი' ენების. ის, 'მკვდრად' ჩაითვლება თუ არა ესა თუ ის ენა, ისტორიულად განპირობებულ პერსპექტივაზე დამოკიდებული, როგორც ცნების ისტორია გვაჩვენებს. 'სიცოცხლის' და 'სიკვდილის', ენის ნაწილების კვდომისა და განახლების სახე ძველია (შდრ. შენიშენა 12), მაგრამ მკვდარ და ცოცხალ ენათა განსხვავება მხოლოდ იტალიურ ჰუმანიზმში დაიწყო, სახელდობრ – ლათინურისა და იტალიურის ურთიერთდამოკიდებულებაზე დისკუსიის დროს (ფეითფული 1953, ლიუტკე 2001). XV საუკუნეში იტალიური ბარბაროსული გავლენით შერყვნილ, სახეცვლილ ენად მოიაზრებოდა, რომელიც თავისი არსით მაინც 'ლათინური' იყო და არა 'ახალი ენა' ("lingua latina corotta, non già nuova" (დამახინჯებული ლათინური ენა, ახალი კი არა) ფეითფული 1953: 285). უწყვეტობის თვალსაზრისით, ძველი ენა, მართალია, ჰუმანისტური ხედვით ბუ-

ბი დასტურდება მოგვიანებით ინგლისსა და გერმანიაში.]¹⁰ ატრიბუტი ‘მკვდარი’ ნიშნავს არა მხოლოდ შეწყვეტილობას. ლათინურის ასეთი მოხსენიება ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა შუა საუკუნეებში. ეს ატრიბუტი მეტწილად [ერთგვარ] შეფასებასაც შეიცავს.¹¹ ამრიგად, ვხედავთ, რომ ენის ‘მკვდრად’ მიჩნევა დამოკიდებულია ისტორიულად განპირობებულ ინტერპრეტაციასა და შეფასებაზე, განსაკუთრებით იმ ეპოქებში, როცა ისტორიის ბიოლოგიური ინტერპრეტაციის ნიმუშის მიხედვით გახმოება და სიკვდილი აღმასვლისა და დაღმასვლის მოდელის შემადგენლებად გაიაზრდებოდა, სადაც კულტურები ცხოვრობენ, ცხოვრების მწვერვალი აქვთ და კვდებიან (კულმანი 1999: 1008).¹² [სხვათა შორის, ‘ცხოვრების’ კრიტერიუმი სხვადასხვა შეიძლება იყოს. პ. ბემბოს (Pietro Bembo, 1470-1547) ჰუმანისტურ კონცეფციაში ენა მხოლოდ ლიტერატურაში ცოცხლობდა (ფეითფული 1953: 289), და ლათინური, რომელიც მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნორმალური იყო, არ იყო ‘მკვდარი’.] ცნება ‘მკვდარი ენა’ სავარაუდოდ

ნებრივად არ შეისწავლებოდა (ფურეტიერის გაგებით), მაგრამ ძველი ტექსტების მეშვეობით ხდებოდა მისი კულტურული გადაცემა. XVI საუკუნეში კი იტალიური განიხილებოდა თავისი არსით „ახალ“, ე. ი. სხვა ენად, რომელიც დამახინჯებული ლათინურის საფუძველზე წარმოიშვა: ალესანდრო ჩიტოლინი (Alessandro Citolini) წერს 1540 წელს: “che la latina è morta e sepolta ne’ libri; e che la volgare è viva” (რომ ლათინური მკვდარია და წიგნებში დამარხული; და რომ ხალხური ენა ცოცხალია) (ფეითფული 1953: 281).]

- 10 *Oxford English Dictionary* პირველ დამოწმებად ასახელებს Joseph Addison-ის ‘Spectator’-იდან: “The Works of Ancient Authors which are written in dead Languages.” უფრო გვიან იაკობ გრიმის ლექსიკონი ერთ-ერთ პირველ დამოწმებად ასახელებს ჰაინრიხ ჰაინეს ერთ ადგილს: “[er kannte] auch die toden, alten / ausgestopften Dialekte” ([მან იცოდა] მკვდარი, ძველი, / გამოფიტული დიალექტებიც).
- 11 მაგრამ ყოველთვის არა: ჰუმბოლდტთან (1809) ვკითხულობთ: “Von dem Grundsatz ausgehend, einmal dass die Form einer Sprache, als Form, sichtbar werden muss, und dies besser an einer toden, schon durch ihre Fremdheit frappirenden, als auch an der lebendigen Muttersprache geschieht [...]” (იმ ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, ჯერ ერთი, რომ ენის ფორმა, როგორც ფორმა, შესამჩნევი უნდა გახდეს, და ეს, უმჯობესია, მკვდარ, უკვე მარტო თავისი სიუცხოვით განმაცვიფრებელ [ენის მასალაზე] ვიდრე ცოცხალ მშობლიურ ენაზეც განხორციელდეს.) („კენიგსბერგის სასკოლო განათლების სისტემაში გასატარებელი რეფორმების შესახებ“, ჰუმბოლდტი 1920: 267).
- 12 ენის ელემენტების სიკვდილი ძველი სახეა: *ut silvae foliis pronos mutantur in annos, / prima cadunt: ita verborum vetus interit aetas, / et iuvenum ritu florent modo nata vigentque. / debemur morti nos nostraque [...] mortalia facta peribunt, / nedum sermonum stet honos et gratia vivax.* (ჰორაციუსი, *Ars poetica* 60-63; 68-69) („ტყე ფოთოლს იცვლის წელთა სრბოლაში, / პირველნაზარდი მიწაზე ცვივა. მსგავსადვე კვდება ძველი სიტყვების თაობა / და ყმაწვილებივით ყვავიან და ხარობენ ახალშობილნი. / სიკვდილის შვილები ვართ ჩვენც და ჩვენი საქმეც [...] მოკვდავთა საქმე წარმავალია, / მამ მეტყველების პატივისცემა და კეთილგანწყობა როგორღა დარჩეს?“ საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, თუ როდის შეიძლება გაცნობიერებულიყო ‘მთელი’ ენების კვდომა.)

გაჩნდა [XVIII საუკუნის დასაწყისში], როცა ევროპული ეროვნული ენების ხმარებამ ბევრ ახალ სფეროში დაიმკვიდრა ადგილი.

[2.4] ‘ძველი ენების’ ცნების ნაცვლად აგრეთვე ხმარობდნენ (და ნაწილობრივ დღესაც ხმარობენ) ცნებას ‘კლასიკური ენები’, რომლის შემადგენლის ‘კლასიკური’ საინტერესო ისტორიაზე აქ ვრცლად ვერ ვისაუბრებ (იხ. გელცერი 1978); ამკარაა, ყოველ შემთხვევაში, რომ ამ ცნებით ევროპაში დიდი ხნის მანძილზე იყო ხაზგასმული ამ ენების სანიმუშო და აღმზრდელითი ღირებულება. შეფასებითი ხედვა წინ უსწრებს ქრონოლოგიურს, მსგავსად იმისა, როგორც „კოგნიტიურ ლაპარაკს ‘სიძველეზე’ წინ უსწრებს ‘ანტიკის’ ნორმატიული ხედვა, რომელიც რენესანსის ჰუმანიზმში გახდა განმსაზღვრელი“ (დემანდტი 1999: 996). ამრიგად, მოსალოდნელია, რომ რომელიმე ე.წ. ძველი ენა გარკვეულ კულტურაში მაინცდამაინც მისი ასაკის ტრივიალურ ხედვაში კი არ მოიაზრება ან იმ თვალსაზრისით კი არ განიხილება, რომ გასაგები აღარ არის. უფრო დასაშვებია, რომ ძველი ენა ქრონოლოგიური პერსპექტივის მიუხედავად იქნას ‘კლასიკურად’ მოაზრებული, ამასთან ევროპაში ლათინური და ბედნიული იყო ასე, საქართველოში კი, დიდი ხნის მანძილზე – სწორედ ძველი ქართული.

[2.5] გერმანიაში ძველი ენების კლასიკური ხასიათი XIX საუკუნეში გადამწყვეტი თვალსაზრისი იყო განათლების სისტემაში მათი შეფასებისათვის. ფრიდრიხ აუგუსტ ვოლფის (Friedrich August Wolf, 1759-1824) ჩამოყალიბებულ ‘ახალ ჰუმანიზმში’ სასკოლო რეფორმაში, რომელშიც ძველი ენების სწავლა არსებითი მნიშვნელობისა იყო, ‘*Studia humaniora*’ უპირისპირდებოდა, ერთი მხრივ, სწავლებას მშობლიურ ენაზე და, მეორე მხრივ, ‘უფრო ახალი ენების’ დაუფლებას, რომელთა სახელი, კონტრასტული კომპარატივის წყალობით უკვე ამჩნევენებს თავის მიმართებით ხასიათს.¹³

13 თავის მსჯელობაში “Ueber die mit dem Koenigsbergischen Schulwesen vorzunehmende Reformen” (კონიგსბერგის სასკოლო განათლების სისტემაში გასატარებელი რეფორმების შესახებ) 1809 წელს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, მაგალითად, ამბობს: “Bei der Wahl der Lehrgegenstände [sc. für Mittelschulen] schliesst man einige aus, und dies Loos trifft dann gewöhnlich beide alte Sprachen, oder eine derselben, nimmt andere auf, wie mehr neuere Sprache, Technologie und Statistik u.s.f., und macht die zur Hauptsache, die man sich in den gelehrten Schulen als Nebensache denkt, wie Geographie, Geschichte, Physik.” (სასწავლებელი საგნების არჩევისას [იგულისხმება საშუალო სკოლებისთვის] ზოგიერთს გამორიცხავენ ხოლმე და ეს, ჩვეულებრივ, ორივე ძველ ენას ეხება ხოლმე, ან ერთ-ერთი მათგანს, აიღებენ ხოლმე სხვას, როგორც უფრო ახალ ენას, ტექნოლოგიას, სტატისტიკას და ა.შ., და გახდიან ხოლმე მთავარ საგნად, რომელიც ‘სწავლულ’ სკოლებში [– gelehrte Schule არის სკოლის ტიპი, რომელიც ამზადებს იმ მოწაფეებს, რომლებმაც უნივერსიტეტში Geisteswissenschaften უნდა ისწავლონ (და არა, მაგალითად, ბუნებისმეტყველება)] მეორად საგნად მოიაზრება, როგორც, მაგალითად, გეოგრაფია, ისტორია, ფიზიკა) (ჰუმბოლდტი 1920: 263). ჰუმბოლდტს, როგორც ცნობილია, განათლების სხვაგვარი კონცეფცია ჰქონ-

ამ კონტექსტში აგრეთვე შედის ‘მკვდარი ენების’ ახალი კონცეფცია ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტთან: მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ენები ‘სინამდვილეში წამიერ გამოცოცხლებას განიცდიან’¹⁴ [აქ ‘მკვდარი’ და ‘ცოცხალი’ ენების დაპირისპირება მოხსნილია].

[140] [2.6] მაშასადამე, ცნება ‘ძველი ენები’ სულ მცირე სამი მნიშვნელობით იხმარება. [პირველ რიგში, არსებობს საყოველღეო, ქრონოლოგიური და საკომუნიკაციო ცნება, რომელიც ეხება ენის ‘დაძველებას’ (2.1). მეორე] ამ ცნებისაგან უნდა გამოვყოთ ხსენებული სასკოლო ცნება ‘ძველი ენები’, რომელსაც საერთოდ ევროპაში უფრო ძველი ტრადიცია აქვს; ეს არის ‘ძველების’, ანუ ბერძენთა და რომაელთა ენები (2.2).¹⁵ ამას შეიძლება, შესაბამისი შეფასების პირობებში, ერთი მხრივ, ‘კლასიკურის’ კონცეფცია დაუკავშირდეს (2.3), [მეორე მხრივ კი ძველი ენები] ‘მკვდარ ენებად’ იქნას მოაზრებული (2.4). დაბოლოს, ცნებას [‘ძველი ენები’] უპირისპირდება მესამე, პერიოდების ენათმეცნიერული ცნება, რომელშიც დაძველების უწყვეტო-

და! – მაღლობას ვუხდი ჩემს კოლეგას ა. შმიდტს (Arno Schmidt, ოლდენბურგის უნივერსიტეტი), რომ მიმითითა ცნებაზე ‘Humaniora’ და კავშირზე „ძველი ენების“ ცნებასა და პრუსიულ სასკოლო რეფორმას შორის.

- 14 “Man kann den Wortvorrath einer Sprache auf keine Weise als eine fertig daliegende Masse ansehen. Er ist, auch ohne ausschließlic der beständigen Bildung neuer Wörter und Wortformen zu gedenken, so lange die Sprache im Munde des Volks lebt, ein fortgehendes Erzeugniss und Wiedererzeugniss des bildenden Vermögens. [...] Mit den todten Sprachen verhält es sich nur um Weniges anders. Ihr Wortvorrath ist allerdings nach unserer Seite hin ein geschlossenes Ganzes, in dem nur glückliche Forschung in ferner Tiefe liegende Entdeckungen zu machen im Stande ist. Allein ihr Studium kann auch nur durch Aneignung des ehemals in ihnen lebendig gewesenen Principis gelingen; sie erfahren ganz eigentlich eine wirkliche augenblickliche Wiederbelebung. Denn eine Sprache kann unter keiner Bedingung wie eine abgestorbene Pflanze erforscht werden. Sprache und Leben sind unzertrennliche Begriffe, und die Erlernung ist in diesem Gebiet immer nur Wiedererzeugung.” (არანაირად არ შეიძლება რომელიმე ენის სიტყვათა მარაგის წარმოდგენა რაღაც მზა მასად. მხოლოდ გაუმუდმებული სიტყვათწარმოება რომც არ გავიხსენოთ, სანამ ენა ხალხის მეტყველებაში ცოცხლობს, ის წინმავეალი წარმოება და კვლავწარმოება ქმნადი უნარისა. [...] მკვდარი ენების შემთხვევაში მხოლოდ ოდნავ სხვანაირად თუა საქმე. ოღონდ მათი სიტყვათა მარაგი, მართალია, ერთის მხრივ დასრულებული მთლიანობაა, რომლის შორეულ სიღრმეში მწვედომი აღმოჩენები მხოლოდ იღბლიანი კვლევის საქმეა. მათი ოდენ შესწავლაც კი მხოლოდ და მხოლოდ მათში ოდესღაც ცოცხლად მყოფი პრინციპის ათვისებით არის შესაძლებელი, ისინი არსებითად ნამდვილ წამიერ გამოცოცხლებას განიცდიან. რამეთუ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ენის ისე კვლევა, თითქოს მკვდარი მცენარე იყოს. ენა და სიცოცხლე განუყოფელი ცნებებია, და შესწავლა ამ სფეროში მუდამ [მხოლოდ] კვლავწარმოებაა.) (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი: ადამიანის ენის აგებულების სხვაობისა და ამ სხვაობის გავლენის შესახებ კაცობრიობის მოდემის გონითს განვითარებაზე [ა. ჩიქობავას თარგმანი] 1836: CXXV–CXXVI).

- 15 [შდრ. გოთჰოლდ ეფრაიმ ლესინგის (Gotthold Ephraim Lessing) ნაშრომის სათაური: “Wie die Alten den Tod gebildet” (ძველებმა როგორ ასახეს სიკვდილი)].

ბის ადგილს იკავებს წყვეტილობა ენის ისტორიის ერთმანეთის მომდევნო, განსხვავებადი მონაკვეთებისა, რომელთაგან წინა ატრიბუტ ‘ძველ’-ს მიიღებს.

3. ახლა ვნახოთ, თუ როგორ გაიაზრებოდა ისტორიულად ძველი ქართული ამ ცნებების მიხედვით. როგორც ჩანს, ქართველები იმას, რასაც ჩვენ დღეს ‘ძველქართულს’ ვეძახით, სულ ცოტა XIX საუკუნის შუა წლებამდე გაიაზრებდნენ თავის კლასიკურ ენად, არა ‘ძველ ენად’, რომელიც ‘უფრო ახალი ენის’ საპირისპიროდ ითვლებოდა. არც იმაზე ყოფილა ლაპარაკი, რომ ‘მოძველებულად’ მოსჩვენებოდათ და ამით გაუცხოებულყო. და ბოლოს, ენობრივი პერიოდიზაციის მეცნიერული ცნება კი საერთოდ, როგორც ჩანს, მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს იჩენს თავს.

[3.1] შუა საუკუნეების სალიტერატურო ენას ქართველთათვის მუდამ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე, ვთქვათ, გერმანელთათვის ძველ ან საშუალო ზემო გერმანულს. სულხან საბა ორბელიანისთვის (1658-1725), შუა საუკუნეების სასულიერო ლიტერატურა იყო კლასიკური, რამდენადაც კი მის ენას არ მიიჩნევდა ‘ღვარჯნილად’ (ბოედერი 2003), ის წარმოადგენდა, ბერძნულად რომ ვთქვათ, ენის ἀκμή-ს [ბერძნული *akmeé* ‘მწვერვალი’] (იხ. კულმანი 1999: 1009). ძველი ქართული აშკარად კოდიფიცირებული არ ყოფილა, და მაინც ლიტერატურული ტრადიციით ნორმირებული ენაა უჩვეულოდ მცირე ვარიაციით. იგი ასრულებდა ფუნქციას [141], რომელიც ნაწილობრივ ლათინურის ფუნქციას შეგვიძლია შევადაროთ იმდენად, რამდენადაც ის იყო ენა როგორც ეკლესიის, ისე მაღალი დონის განათლების და ლიტერატურის; და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის იხმარებოდა აგრეთვე მენციერების ენად, განვითარებული ტერმინოლოგიით, რომელიც დღევანდელ ქართულ სამეცნიერო ენაშიც კიდევ ცოცხალია. მაგრამ განსხვავებით ლათინურისგან და განსხვავებით ძველი ზემო გერმანულისგან, რომლებიც დღეს ჩვენთვის მიუწვდომელია განსაკუთრებული შესწავლის გარეშე, ძველი ქართული განათლებული ქართველისთვის გარკვეულ დონემდე დღესაც გასაგებია [იხ. დამატება 3]. ამით თუნდაც ნაწილობრივ გამოირიცხა წყვეტილობის თუ უცხოობის მომენტი, ‘ძველი’ და ‘მოძველებული’ ენების ცნებას რომ უდევს საფუძვლად.

[3.2] ევროპელების ლათინურთან დამოკიდებულებისგან განსხვავებით, ქართველებს შეეძლოთ ძველი ქართული დაენახათ როგორც ერთი სტილისტური დონის [ვარიანტი] საკუთარი ენისა [იხ. დამატება 3]. სიტუაცია რამდენადმე ჰგავდა საბერძნეთის სიტუაციას და, გარ-

კვეული პირობითობით, შეიძლება ‘დიგლოსიაც’ მოვიხსენიოთ.¹⁶ უეჭველია, რომ ძველი ქართული საუკუნეების მანძილზე ‘vernacular’ [ე. ი. მშობლიური ვარიანტი, რომელზედაც ადამიანი ლაპარაკობს ენობრივი თვითკონტროლის გარეშე] კი არ იყო, არამედ უნდა შესწავლილიყო,¹⁷ ისე, როგორც ბიზანტიელები კლასიკურ ბერძნულს და მოგვიანებით ბერძენი ‘კათარეუსას’ ეუფლებოდნენ სკოლაში. ძველი ქართული დარჩა ქართული სალიტერატურო ენის ავტორიტეტიან ფორმად, და ქართველების საერთო მემკვიდრეობად, მეგრელებისა და სვანების ჩათვლით, რომლებსაც, მართალია მონათესავე, მაგრამ ობიექტურად განსხვავებული ენები ჰქონდათ. ამ უფრო კულტურის ისტორიული და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით დღეს ამ ცნებით განსაზღვრული ძველი ქართული მოიცავს V-XVIII საუკუნეებს, და მოლაპარაკისთვის იმ უცილობელ ფაქტს, რომ როგორც ე.წ. ხალხურ ენაში, ისე საერო ლიტერატურაში სხვა ფორმები გამოიყენებოდა, გადამწყვეტი ფაქტი არ ყოფილა. როდესაც საქართველოს ეკლესიის პატრიარქმა ანტონ I-მა, [142] მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში როგორც მშობლიურ, ისე ევროპულ ტრადიციებს ნაზიარებმა, ქართული გრამატიკა დაწერა,¹⁸ შექმნა უძველესი და ახალქართული ფორმების ნარევი, ოღონდ არც კი მიუნიშნებია, თუ რომელი იყო ‘ძველქართული’ და რომელი ‘ახალქართული’. ამრიგად, მისთვის არსებობს სრული უწყვეტობა ქართულში, როგორც სალიტერატურო ენაში.

16 დიგლოსიის ჩარღზ ფერგუსონისეული (1959) ცნება, თავისი განსხვავებით ‘მაღალ’, განათლებული ენასა და ‘დაბალ’, ბუნებრივ მშობლიურ ენად შექმნილ ვარიანტს შორის სასარგებლო სოციოლინგვისტური ორიენტაციაა, ოღონდ საჭიროებს სპეციფიკურ, ცალკეული შემთხვევის ისტორიულ კონტექსტში ჩასმას. ქართულზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჯერ ერთი – განსხვავება ქართველ სწავლულთა სალაპარაკო ენასა და კლასიკურ ძველქართულს შორის უფრო მცირე იყო, ვიდრე დიგლოსიის ტიპურ შემთხვევებში, რომელიც ფერგუსონის ყურადღების ცენტრში იყო (კათარეუსა და დიმოტიკი საბერძნეთში, სალიტერატურო არაბული და დღევანდელი არაბული ლოკალური ვარიანტები; ‘დიგლოსიის’ ცნების განვრცობა ჯ. ფიშმენთან (J. Fishman) და სხვებთან აქ მხედველობაში არ მაქვს). მეორეც – ძველი ქართულის ‘კლასიკური’ ფორმის გვერდით, რომელსაც ქართველები შუა საუკუნეებში ‘წიგნურს’ უწოდებდნენ, არაუგვიანეს XII საუკუნიდან მოყოლებული არსებობდა ქართულის მაღალპრესტიჟული ვარიანტები, რომლებიც ‘საერო’ ლიტერატურაში იხმარებოდა. ამ ვარიანტებს პოეტური და ზოგადად სალიტერატურო ენის თავისი საკუთარი სტანდარტები ჰქონდათ, რომლებიც ცნება ‘სოფლურის’ [კატეგორიას] ეკუთვნოდა (ბოედერი 2003: 203; შდრ. სარჯველაძე 1989), და მეტ-ნაკლებად ახლოს იდგნენ ‘ხალხურ ენასთან’, ოღონდ მასთან იგივეობის გარეშე. მაგრამ მათი მიკუთვნება დიგლოსიის აზრით ‘დაბალი’ ვარიანტისთვის არ შეიძლება.

17 [შდრ. დანტეს ‘სწავლული ენის’ კონცეფცია (შენიშვნა 7).]

18 იხ. ე. ბაბუნაშვილი – თ. უთურგაიძე 1991.

იგივე ითქმის XIX საუკუნის დიდ ლექსიკონებზე, მაგ. დავით ჩუბინაშვილისა. ხოლო, როცა იმ საუკუნის პირველ ნახევარში კამათი დაიწყო სეკულარიზებული საზოგადოებისთვის შესაფერისი სალიტერატურო ენის შესახებ, თუმცა ეს ნაწილობრივ მაინც ძველ და ახალ თაობას შორის კამათი იყო, განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის ჯერ ძველი და ახალი ენის ქრონოლოგიურ სხვაობაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ – ფუნქციონალურად კონცეპტუალიზებული: ძველ ქართულზე, როგორც საეკლესიო ენის და ‘მაღალი სტილის’ მატარებელზე, უარი ითქვა თანამედროვე საერო ლიტერატურაში, რომელიც არც თეოლოგიური იყო და არც *genus sublime*-ს განეკუთვნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი და იმავე ქართული ენის უწყვეტობის განცდა ჯერჯერობით ურყევი იყო.

მხოლოდ მოგვიანებით, პეტერბურგში ნასწავლმა ქართველებმა შემოიტანეს ახალი ცნება ‘ხალხისა’ და ‘ხალხური ენის’, რომელმაც საბოლოოდ გაწყვიტა ძველი, კლასიკური ენის უწყვეტობა. ეს პროცესი კარგად ჩანს კლასიკოს მწერალ და ეროვნულ განმაახლებელ ილია ჭავჭავაძესთან. 1861 წელს იგი ორთოგრაფიის მაგალითზე იცავს თავის პოზიციას, რომ სალიტერატურო ენა ხალხის თანამედროვე მეტყველებას უნდა ემყარებოდეს: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა.“¹⁹ ამრიგად ძველი ქართული ასოებით *შ, ღ, ჳ, შ ეი, ი, ვი, ო* ბგერების აღნიშვნა დღეს გაუმართლებელია: „იქნება ჩვენს უწინდელ ენაში იყო განსხვავება მაგ ასოთა შორის [...], მაგრამ ეხლანდელ ჩვენს ენაში არა ვხედავ.“²⁰ ცნება ‘უწინდელ’-ის გვერდით იჩენს თავს აგრეთვე ‘ძველებური’ და ‘ძველი’, – მაგრამ სწორედ ზემოთ ნახსენები საყოფაცხოვრებო მნიშვნელობით: „კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე [...]. ახალი ენა ძველს ენას არა გავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველსა“²¹ (თუმცა, კიდევ იგივე მეტაფორული სურათი რომ გამოვაყენოთ, მოხუცი იგივე პიროვნებაა, რაც ახალგაზრდა).

‘ახალ ქართულს’ ილია ჭავჭავაძე საპერიოდიზაციო ტერმინად კი არ იყენებს, არამედ ისე, როგორც დღეს Neudeutsch (‘ახალგერმა-

19 თხზ. IV: 47: ‘პასუხი’ apud შალამბერიძე 1966: 324.

20 „ორიოდე სიტყვა“ (1861), თხზ. IV: 44, იქვე გვ. 326). – [შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ორთოგრაფია უფრო მარგინალური ასპექტია ხალხური ენის სალიტერატურო ენად ხმარების დაცვაში. მაგრამ ილია ჭავჭავაძემ ალბათ სწორად განჭვრიტა, რომ ძველ ასოებს ემბლემატური ხასიათი აქვს და წერილობით ტექსტში ისინი უშუალოდ ახდენს სიმბოლიზებას ძველი ქართული ტრადიციისა, რომელთანაც ის კავშირს წყვეტს. მისი რაციონალური, თითქოს ენათმეცნიერულ-ფონოლოგიური არგუმენტაცია მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტრადიცია.]

21 „პასუხი“ (1861), თხზ. IV: 43, იქვე გვ. 314.

ნული') იხმარება ხოლმე კრიტიკული ნიუანსით: „ქართულია“ ამბობს ის, მაგალითად, ერთ რუსიფიცირებულ ნათარგმნ ქართულ პასაჟზე, „ქართულია, მაგრამ ‘ახალი’ ქართული, ბატონებო, ‘ახალი’ [...]“²² 1889 წელს მას [ივ. ჯაბადარის] ციტატა მოჰყავს, რომელიც, ეტყობა, ‘ძველ ქართულს’ [143] პერიოდის გაგებით იცნობს: „ეხლანდელი ქართული იხე ცოტად განსხვავებულია ძველ ქართულისაგან, რომ შუა საუკუნეთა თხზულებას დღევანდელი ქართველი ადვილად ჰკითხულობს და ადვილადაც ესმისო. ეს გარემოება გვაჩვენებს, რა ცოტად განვითარებულია ქართული ენაო.“²³ [ილიას ჰგონია, რომ აქედან არ გამომდინარეობს, თითქოს ქართულში არანაირი წინსვლა და განვითარება არ შეინიშნებოდეს. ეს დასკვნა, მისი აზრით, ისევე გაუმართლებელია, როგორც იტალიურის შემთხვევაში, სადაც დღევანდელ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს, ვთქვათ, დანტე.]

3.3 დეტალური ისტორია ცნებებისა ‘ძველი ქართული’ და ‘ახალი ქართული’ XIX საუკუნეში კიდევ დაწვრილებით უნდა იქნას გამოკვლეული. ყოველ შემთხვევაში, ცნებითი განსაზღვრა წყვეტილობისა ძველსა და ახალ ქართულს შორის მხოლოდ გვიან შემოსული ჩანს. მასში კონვერგირებს ‘ხალხზე’ ორიენტირებული ეროვნული ენისკენ სწრაფვა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებასთან, რომელშიც, მაგალითად, სანკტპეტერბურგის აკადემიურმა წრეებმა ქართულის ისტორიული ცვლილების დანახვა ისწავლეს, რომელიც ილია ჭავჭავაძისთვის უთუოდ ცნობილი იყო. ‘გამოგონება’ ცნებისა ‘ძველქართული’, დღევანდელი მეცნიერულად დასაბუთებადი ენობრივი პერიოდის გაგებით, რა თქმა უნდა, არც ქართველთათვის, საუკუნეების გამნმავლობაში ცნობილ ენობრივ განსხვავებათა აღმოჩენასთანაა დაკავშირებული, არც ენობრივი ეპოქების ‘ობიექტურ’ წყვეტილობასთან. ის იყო შედეგი პერსპექტივის სოციალურად, პოლიტიკურად, კულტურულად ან ენათმეცნიერულად განპირობებული ცვლილებისა.

[დამატებები]

[1. ზემოთ ვნახეთ, რომ ქართველებმა ძველი ქართული დაინახეს როგორც ერთი სტილისტური ვარიანტი საკუთარი ენისა, რომელსაც სპეციფიკური ფუნქცია ახასიათებს. ასე ხედავდნენ თავის ენას, როგორც ჩანს, ქართველი ემიგრანტები პეტერბურგში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, რომელთაგან იქაურმა არქიმანდრიტმა ბოლხოვიტინოვმა (1802), ეტყობა, მიიღო ინფორმაცია, რომ ქართული სხვადასხვა

22 „სხარტულა“ (1879), თხზ. IV: 329 იქვე გვ. 329.

23 „აი ისტორია“ (1889), თხზ. V: 79, იქვე გვ. 315.

ასაკის ორ ‘დიალექტად’ ‘იყოფა’, რომლებიც სხადასხვა დანიშნულე-ბით იხმარება: ‘საეკლესიო ენად’ (церковный, გვ. 65) და ‘სამოქალაქო ენად’ (гражданский, იქვე). პირველი ‘ძველია’ და თვადაპირველი (коренный, გვ. 67), და განსხვავდება ‘დღევანდელი უბრალო ხალხური ენისგან’ (нынѣшний просто-народный, იქვე), როგორც საეკლესიო სლავური განსხვავდება რუსულისგან და ასეთივე ‘უპირატესობები’ (преимущества) აქვს უბრალო ‘ხალხურ დიალექტზე’.²⁴ საინტერესოა, რომ სხვადასხვა ფუნქციას სხვადასხვა არტიკულატორული სტილი შეესაბამება: გამოთქმა ‘უფრო მტკიცე’, უფრო დინჯი („მიძიმე“), და უფრო გამომსახველი (тверже, важнее и выразительнее) – ეს სიტყვება რასაც არ უნდა გულისხმობდეს.²⁵ ასევე კარლ ფრანც ალტერი (1798) ასხვავებს ‘სწავლულ ქართულს’ (‘gelehrtes Georgianisch’, ე. ი. განათლებულენის ენა) ანდა „საეკლესიო ენას“ (‘Kirchensprache’) ‘ხალხური ქართული ენისაგან’ (‘vulgär-georgianische Sprache’) და აღნიშნავს ამ მოვლენის ტიპოლოგიურ მსგავსებას აღმოსავლური ქრისტიანობის დამწერლობო კულტურებთან: ‘როგორც ცნობილია, ქართველებს, როგორც ბერძნებს, არაბებს, კოპტებს, სომხებს, ეთიოპელებს, ინდოელებს, სლავებს და სხვებს აქვთ სწავლული, ანდა წიგნური ენა, და ხალხური ენა’.²⁶ – ასევე მარი ფელისიტე ბროსე (Marie Félicité

24 Самымъ лучшимъ нарѣчіемъ у всѣхъ Грузиновъ почитается *Карталинское*. Впрочемъ вообще языкъ Грузинской раздѣляется нынѣ на два діалекта, одинъ церковной, а другой гражданской. Церковной, остающійся донынѣ въ Священномъ ихъ Писаніи и другихъ старшихъ церковныхъ книгахъ, есть древній ихъ языкъ, совершенно отличный отъ всѣхъ языковъ окружающихъ ихъ народовъ, и даже отъ Армянскаго; имѣющій собственные свои корни и этимологию. Онъ различуется отъ нынѣшняго такъ, какъ *Славенскій* отъ *Россійскаго*, да и такіяже имѣтъ предъ простымъ преимуществва. *Нынѣшний Грузинскій* діалектъ смѣшанъ изъ кореннаго языка съ многими словами и фразами *Persidskimi*, *Армянскими* и *Турецкими*. [...] *Древній Грузинскій* языкъ въ произношеніи тверже, важнее и выразительнее; а новой заглушается гортаннымъ произношеніемъ многихъ буквъ по подобію другихъ Азиатскихъ языковъ’ (ბოლხოვიტინოვი 1802: 65–66.)

25 დღევანდელ ღმრთისმსახურებაში, როგორც ჩანს, ძველი ქართული ახალქართულად გამოითქმის (ასე, მაგალითად, – აა როგორც –აი, კ როგორც ბ).

26 “Bekanntlich haben die Georgianer, wie Griechen, Araber, Copten, Armenier, Aethiopier, Indier, Slaven &c. eine gelehrte, oder Büchersprache, und eine Vulgarsprache” (Carl Franz Alter 1798: 3). – ამ ადგილზე თ. ბოლქვაძე (2007: 215) წერს: „აღ. ცაგარელამდე ქართულის, მეგრულისა და სვანურის მიჩნევა ენებად ან დიალექტებად მხოლოდ დამკვირვებელს ყურზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ალტერი ერთმანეთისგან მიჯნავდა ქართულის შემდეგ ვარიანტებს: ქართულს, ვულგარულ ქართულს (Vulgär-Georgianisch), იმერულსა (Imeretisch). დამოწმებული მაგალითების მიხედვით ამკარაა, რომ იმერულს ალტერი მეგრულს უწოდებდა და ‘მეცნიერულ ქართულს’ (Gelehrtes Georgianisch), რაც სალიტერატურო ქართულს ნიშნავს.“ ჯერ ერთი, ალტერი განასხვავებს ეკლესიურ ქართულს (ანდა ‘სწავლული ენას’, და არა ‘მეცნიერული ენა’) და ხალხურ ქართულს (და არა ‘ვულგარულ ქართულს’!), მეტს არაფერს. მისი პრობლემა იყო პალასის ლექსიკონის (1789) ტერმინების

Brosset 1834: 405) განასხვავებს ქართული ენის „ძველ ანდა სალიტერატურო სტადიას ('მდგომარეობას') და ახალ ანდა ხალხურ სტადიას" ('état ancien ou littéral', 'état moderne ou vulgaire de la langue'), რომლებიც ფუნქციის მიხედვით შეესატყვისება ქართულის 'სალიტერატურო სტილს' ('style littéral'; ბროსე 1837: 192; 268) და 'ხალხურ სტილს' ('géorgien vulgaire'; ბროსე 1837: 213; 284), და ამათ კიდევ ემატება არაეკლესიური, მაღალი დონის იმდროინდელი ენა: 'კეთილშობილი [= მაღალი] ხალხური სტილი' ('style vulgaire noble', ბროსე 1837: 330). ენის ორ ფორმას ემთხვევა ორი შრიფტი: 'საეკლესიო ანბანი/შრიფტი' (= ხუცური; 'alphabet/écriture ecclésiastique') და 'ხალხური ანბანი (მხედრული)' ('alphabet vulgaire'). ჩვენს კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ენის ეს ორი ფორმა ძველ რიტორიკულ პერსპექტივაში ერთმანეთის გვერდით არსებულ ვარიანტებად ('დიალექტებად', ე.ი. დიქციის სახეობებად) მოიაზრებოდა. ეს 'რიტორიკული' ფუნქციური კონცეფცია ერთი ენის ვარიანტებისა იმ ხანაში სხვადასხვა ენების შემთხვევაშიც მოიაზრებოდა: იოანე ბაგრატიონი, მაგალითად, ამბობს, რომ ქართული, სპარსული და არაბული სხვადასხვა საქმისთვისაა ვარგისი ('საქებელი').²⁷

2. ამ ტრადიციის გვერდით XIX საუკუნის მეცნიერებაში მიღებული იყო ამ ცნებების მეორე ვარიანტი, რომელიც აერთებდა სფეროს (ინგლ. domain) (ეკლესიის ენა), საკომუნიკაციო სახეობას (წიგნური ენა), წარმომავლობას (ძველი ქართულიდან მომდინარე ახალი ქართული) და შეფასებას (წმინდა და დამახინჯებული ენა), და რომელიც

საეჭვო იდენტიფიკაცია, და ვარაუდობს, რომ პალასის 'карталинский' უდრის ტრადიციულ 'gelehrte georgische Sprache-ს' და რომ პაოლინის (1629) ლექსიკური მასალა უდრის 'vulgar-georgianische Sprache'-ს, მაგრამ ვერ იცის, რა არის პალასის 'იმერული' (რომელიც ფაქტობრივ მეტნაკლებად მეგრულია) და თუ ქართულის დიალექტია ('da ich nicht weiss, es auch nicht wissen kann, ob das Imeretische ein Dialekt des Georgianischen sei'). ამიტომ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ მსგავსების შემთხვევაში პალასის „იმერული“ სიტყვები ქართულის ვარიანტებისთვის შეეძარა. – ამის გარდა, ცაგარელამდე „ენისა“ და 'დიალექტის' სიტყვების ხმარება დამკვირვებლის „ყურზე“ კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ – როგორც ადრე დაწვრილებით ვაჩვენე (ბოდერი 2005) – 'დიალექტის' (Dialekt, Mundart) მაშინდელი გამოყენებაზე: 'დიალექტი' ნიშნავდა 'ენობრივ ვარიანტს' (იხ. ქვემოთ).

27 „აზიური ანუ ევროპის ენები, რომელნი რომელსა საქმესა შინა არიან ქებულნი? [იოანე პასუხობს:] არაბული – სიბრძნესა და ცოდნასა შინა; სპარსული – მუსაიფობასა და აღერს-სიტყვაობასა შინა, და ლექსებშიაც ქებულია და ტკბილი სასმენლად; თათარული – ბრძოლასა, ანუ ომსა შინა; ქართული – მეჯლიშსა, ლხინსა, ხუმრობასა და ზმასა შინა [...] ელინური და ლათინური – სიბრძნესა და სწავლასა შინა. [...]“ (კალმასობა: „ენებთათვის“, გ. გვერდწითელი et al. (edd.) 1984: 268]. ის, რომ იოანე (შეიძლება ხუმრობით) ახასიათებს ენებს („სომხური – ჩარჩობასა და სანახვესა ზედა“; „რუსული – სირაჯხანასა და ხარჩენებსა შინა“) არაფერს ცვლის მის თეორიაში, რომელიც არსებითად მთელს ისლამურ სამყაროზე ვრცელდება.

ბოლოსდაბოლოს იტალიელი მისიონერების ინფორმაციებს (ეგრეთ-წოდებულ ‘relazione’-ებს) ეყრდნობოდა; მაგალითად, გორიდან გამოგზავნილ ქართულად დაწერილ აღწერას,²⁸ რომლითაც ისარგებლა იენის პროფესორმა იოჰან გოტფრიდ აიხჰორნმა (1787): „საქართველომ იცის ორნაირი კილო: წიგნური, საეკლესიო ანდა სწავლული ენა, და საყოფაცხოვრებო დიალექტი (ხალხური ენა), ეს უკანასკნელი პრველიდან წარმოიშვა დამახინჯების შედეგად და საეკლესიო ანდა წიგნური ენის სახესხვაობაა; და ისე შეეფარდება მას, როგორც იტალიური ლათინურს. უფრო წმინდა წიგნურ ენაზე შეთხზულია ბიბლიის ქართული თარგმანი.“²⁹

აქ ახალი ქართული არა მხოლოდ ‘დამახინჯებულ’ ენად ხასიათდება, არამედ სხვა კატეგორიების გარდა ისტორიული წარმოშობის ასპექტიცაა აღნიშნული. დაბოლოს, ადელუნგი (1806) ზუსტად ამბობს, რომ საეკლესიო ენა ბიბლიის ძველი თარგმანის დროს ისეთივე ნორმალური სასაუბრო ენა იყო, როგორც დღევანდელი საყოფაცხოვრებო ქართული. ‘სწავლული ქართული’ მიეკუთვნება უძველეს საისტორიო პერიოდს და ამიტომ სწავლის გარეშე მისაწვდომი არ არის: ‘ამ პროვინციის [sc. ქართლის] ერთი ძველი დიალექტი, რომელიც მაშინ იყო გაბატონებული, როცა ბიბლია ამ ენაზე ითარგმნა და მთავარი საეკლესიო წიგნები შეიქმნა, დღესაც იხმარება საეკლესიო ენად როგორც აქ, ისე სხვა პროვინციებში და ‘სწავლულთა ქართულად’ იწოდება, რადგან ის დღევანდელ ქართველთათვის გაუგებარია და როგორც სწავლული ენა, უნდა შესწავლონ. საერთო ქართულსაც ქართლსა და მის კუთვნილ პროვინციებში ყველაზე სუფთად ლაპარაკობენ და მხოლოდ ოდნავ სხვაობს იმერეთის თუ სამეგრელოს პროვინციებში’.³⁰

28 “Notizie riguardanti la sagra scrittura Giorgiana, per Ordine di Monsig. Illmò e Rmò Stefano Borgia, Segretario della sagra Congregazione de Propaganda Fide, dal Sacerdote Armeno di Gori D. Stefano Avutandil, scitte in lingua Giorgiana, e tradotta in Italiano da Paole Leoni gia Alunno del Ven. Coll. Urbano e al presente Vescovo Ordinante per la Nazione Armena in Roma. Addi 22 Guigno 1780.”

29 “In Georgien kennt man eine doppelte Mundart; Bücher= Kirchen= oder Gelehrte Sprache, und einen Dialect des gemeinen Lebens (lingua volgare). Der letztere ist aus der Corruption der ersteren entstanden, und eine Abart der Kirchen = oder Büchersprache; und verhält sich zu ihr, wie das Italienische zum Lateinischen. In der reineren Büchersprache ist die Georgische Bibelübersetzung abgefaßt.” (Johann Gottfried Eichhorn 1787: 156).

30 “Ein älterer Dialect dieser Provinz [sc. Kartli], welcher damahls herrschte, als die Bibel in diese Sprache übersetzt, und die vornehmsten Kirchbücher verfertigt wurden, ist noch jetzt sowohl hier als in den übrigen Provinzen bey dem Gottesdienste gangbar, und wird das gelehrte Georgische genannt, weil er den heutigen Georgiern unverständlich ist, und als eine gelehrte Sprache erlernt werden muss. Auch das gemeine Georgische wird in Kartuel und den dazu gehörigen Provinzen am reinsten gesprochen, und weicht in der Provinz Imirette oder Mingrelien nur wenig ab.” (Johann Christoph Adelung 1806: 429). – ასევეთივე ოპოზიცია აქვს ფატერს (1815: 78–79): “Georgien [...] mit seiner eigenthümlichen

მარი ბროსეც იცნობს კონცეპტებს: ‘წინანდელი (‘ძველი’) ქართული’ (‘géorgien ancien’) და ‘თანამედროვე ქართული’ (‘géorgien moderne’). უფრო გვიან, ფატერი (Vater 1847) ისევე როგორც შარდენი (იხ. ზემოთ 2.1), პირველად აყენებს ცნებებს ‘ძველი ქართული’ და ‘ახალი ქართული’ ანდა ‘საეკლესიო ენა’ (‘das Altgeorgische oder die Kirchensprache’, ფატერი 1847: 139) და ‘ახალქართული ანუ დღევანდელი სასაუბრო ენა’ (‘das Neugeorgische oder die heutige Umgangssprache’, ფატერი 1847: 435).

3. XIX საუკუნის ევროპული ენათმეცნიერების პერსპექტივა ჯერ კიდევ უცხო იყო მშობიური ქართული ტრადიციისათვის.

ილია ჭავჭავაძემ რომ ხალხურ ენას მისცა უპირატესობა, მნიშვნელოვანი მიზეზი იყო არა მხოლოდ ის პრაქტიკული მოსაზრება, რომ ეროვნული ენა გასაგები უნდა იყოს („ლიტერატურის ენა დაშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა [...]“).³¹ თავისი გადაწყვეტილება იმ აზრითაც გაამართლა, რომ ენები ‘ორგანულად ვითარდება’ და უნდა განვითარდეს, თუ სალიტერატურო ენის ფუნქცია უნდა შეასრულოს: „ვგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება.“³² ამ პერსპექტივის ფარგლებში უცვლელი, სამარადისო კლასიკური ენის სახეს ადგილი არ აქვს, და ტრადიციულ ‘რიტორიკულ’ პერსპექტივას, 1800 წელს ჯერ კიდევ რომ ძალაში იყო, ენაცვლება ისტორიული განვითარების პერსპექტივა.

შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ უფრო გვიან ალექსანდრე ხახანაშვილი ეცადა დაემტკიცა, რომ ქართული ისტორიულად არა მხოლოდ ლექსიკისა, არამედ გრამატიკის მიხედვითაც შეიცვალა და ამ თვალსაზრისით არ განსხვავდება ‘ნორმალური’ ევროპული ენებისაგან: „ხშირად გვესმის რუსეთში მეცნიერთაგან გამოთქმული აზრი,

Sprache, der alten kirchlichen und der heutigen Umgangs-Sprache, welche in dem nördlichen Khartli od. Karduel, dem südöstlichen Kachethi, in dem westlichen Imirette oder Meletsien und Gurien und selbst bey den 1622 nach Persien nach Astrabad weggeführten Georgiern wenig verschieden ist / Georgia [...] propriam linguam habet, et antiquam versionis bibliorum in sacris usitatam, et hodiernam, quae in provinciis Karduel, Kachethi, Imerette, Guria et inter ipsos, qui Persiae terras deducti sunt” (საქართველო [...] თავისი საკუთარი ენით: ძველი ეკლესიური და დღევანდელი სასაუბრო ენით, რომელიც ჩრდილოეთის ქართლში ანუ ქართველში, სამხრეთ-აღმოსავლეთის კახეთში, დასავლეთის იმერეთში ანუ მელეთსნიაში და გურიაში და 1622 წელს სპარსეთში ასტრაბადში წაყვანილ ქართველებთანაც კი ცოტა მხოლოდ განსხვავებულია).

31 „საქართველოს მოამბეზედ“ (1863) (თხზ. ტ. IV: 74; იქვე გვ. 324).

32 „აი ისტორია“ (1889) (ტ. V: 79; იქვე გვ. 315).

რომ ქართულ ენას არ ეტყობა თანდათანობითი განვითარება, რომ იგი გაქვავებულია თავის ძველის დროებიდან ცნობილ ფორმებით. ეს აზრი ეკუთვნოდა გამოჩენილ ლინგვისტებს ანუ ენათა მკვლევართ და ამიტომ საჭიროა ჩაუკვირდეს კაცი, რამდენად მართალია იმათი სჯა ჩვენის ენის შესახებ“ (1893: 2). „ქართული სამწერლო ენის ცვლა ჩვენ თვალ წინ ხდება. [...] მწერლობის განვითარება თხოულობს მის ენის და მდაბიო ენის დაახლოვებას. [...] საერთოდ ამ 10 წლის განმავლობაში ქართული სამწერლო ენის ცვლილება საკმარისად ასაბუთებს უსაფუძვლობას იმ აზრისას, რომ ქართული ენა დროთა განმავლობაში არ შეიცვალა და „ვეფხის ტყაოსნის“ ენა ახლაც სუყველასთვის ვითომც გასაგებია“ (1901: 3). ეს შენიშვნა ემთხვევა ენობრივი პერიოდების მაშინ გაბატონებულ კონცეფციას, რომელშიც ძველი ქართული არის უბრალოდ აწინდელი პერიოდის ენა, და ამ გაგებით რამდენიმე წლის შემდეგ ნიკო მარმა აღწერა ძველი ქართულის პირველი ესკიზი (1908).

შეხედულება, რომლის მიხედვითაც ახალი ქართული და ძველი ქართული არსებითად ერთი და იგივე ენაა, და რომ ძველი ტექსტები განათლებული ქართველისთვისაა გასაგები, იყო და არის გავრცელებული ტოპოსი. მაგალითად, მიხეილ წერეთელი ფიქრობს, რომ ძველი ქართული ძველი სომხურის, ძველი ზემო გერმანულის ანალოგიით არ არსებობს.³³ და შესაბამისად აქამდე, რამდენადაც ვიცი, არავის დაუმტკიცებია, რომ ძველი ქართული ‘მკვდარი ენააო’.

დამოწმებანი

[ადელუნგი] 1806: *Mithridates / oder / allgemeine / Sprachkunde mit / dem Vater Unser als Sprachprobe / in bey nahe / fünf hundert Sprachen und Mundarten / von / Johann Christoph Adelung. / Erster Theil. / Berlin: in der Vossischen Buchhandlung*

[აიხჰორნი] Johann Gottfried Eichhorn 1787: “Von der Georgischen Bibelübersetzung”, წიგნში: Johann Gottfried Eichhorn: *Allgemeine Biblio-*

33 მიხეილ წერეთელი თავის გამოკვლევაში შუმერულ-ქართული შეხვედრების შესახებ წერს (1913: 790): “I have quoted from the Georgian living speech, and I am well justified in doing this, because the Georgian language has not altered very much during fifteen centuries of literary development. There is no ‘Old Georgian’ in the sense of ‘Old Greek’, ‘Old Armenian’, etc., and there is no ‘Old Georgian’ in the sense of ‘Old German’ or ‘Old French’ preserved until our days in literary documents; modern Georgian is the same language, with the same words and general grammatical structure as Old Georgian, and the alteration which we can observe in its long development is of quite another kind than we see in the development of Indo-European languages.”

- thek der biblischen Litteratur*. Erster Band. Leipzig: Weidmanns Erben und Reich; darin: *Eichhorn's Allgemeine Bibliothek der biblischen Litteratur*. Des ersten Bandes Erstes Stück, გვ. 152–176
- [ალტერი] 1798 Franz Carl Alter: *Über die georgianische Litteratur*. Wien: Johann Thomas Edl. von Trattnern [“Vergleichung der kartelinischen, der gelehrten georgianischen und vulgar-georgianischen Sprache nach den Wörterverzeichnissen des Petersburger Vergleichungs-Wörterbuchs mit Anmerkungen”, გვ. 131–164]
- ბაბუნაშვილი, ელენე – თედო უთურგაიძე 1991: *ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა*. თბილისი: მეცნიერება
- [ბოდერი] 2003 Winfried Boeder: “Purity of language in the history of Georgian“, კრებულში: *Purism in minor languages, endangered languages, regional languages, mixed languages*. Papers from the conference on “Purism in the Age of Globalisation”, Bremen, September 2001. Edited by Joseph Brincat, Winfried Boeder and Thomas Stolz (*Diversitas Linguarum* 2). Bochum: Universitätsverlag Dr. N. Brockmeyer, გვ. 199–223
- ბოდერი, ვინფრიდ 2005: „ენა და კილო ქართველოლოგიაში“, *ენათმეცნიერების საკითხები* 2005,1-2: 196–240
- ბოლქვაძე, თინათინ 1998: „სულხან-საბას „სიტყვის კონა“ და ენის კოდიფიცირების პრინციპები“ *მაცნე*. ენისა და ლიტერატურის სერია 1998: 76–82
- ბოლქვაძე, თინათინ 2007: „ქართველური დიგლოსია“, *ქართული სალიტერატურო ენის საკითხები*. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა 1: 215–237
- [ბოლხოვიტონოვი] 1802 [Евѣм Alekseevič Bolxovitinov; ბერის სახელი: Евгений]: *Историческое изображение Грузии въ политическомъ, церковномъ и учебномъ ея состоянiи*. Сочинено въ Александро-Невской Академiи. Въ Санктпетербургъ съ дозволения Указного, печатано въ типографiи Шнора [გამოსცა გ. შარაძემ: *ევგენი ბოლხოვიტონოვი*. პირველი რუსი რუსთველოლოგი. თბილისი 1978]
- [ბროსე] 1834 Marie Félicité Brosset: “Aperçu général de la langue géorgienne”, *Nouveau Journal Asiatique* 14 (Novembre 1834): 369–405
- [ბროსე] 1837 Marie Félicité Brosset: *Eléments de la langue Géorgienne*, par M. Brosset jeune, membre adjoint de l’Académie Impériale de Russie et membre du conseil de la Société Asiatique de Paris. Ouvrage publié aux frais de la Société Asiatique. Paris: imprimé par autorisation de M. le Garde des Sceaux à l’Imprimerie Royale

- [გელცერი] 1978 Thomas Gelzer: “Klassizismus, Attizismus und Asianismus”, კრებულში: Hellmut Flashar (ed.): *Le classicisme à Rome aux Iers siècles avant et après J.-C.* (Entretiens sur l’Antiquité Classique 25). Genève: Vandoeuvres, გვ. 1–55
- [გესნერი] 1555 Konrad Gessner: *Mithridates. De differentia linguarum tum veterum tum quae hodie apud diversas nationes in toto orbe terrarum in usu sunt.* Tiguri [= Zürich]: Froschoverus [ახალი გამოცემა: Herausgegeben und eingeleitet von Manfred Peters. Aalen: Scientia 1974]
- გვერდწითელი, გურამ et al. (edd.) 1984: იოანე ბაგრატიონი: *კალმასობა*; გიორგი ავალიანი: *მგზავრობა* (= ქართული პროზა. წიგნი VI). თბილისი: საბჭოთა საქართველო
- გოლიაძე, ოლეგ 1979: „ძველი ქართული მწერლობის ლიტერატურული ეტიკეტისათვის“, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები* 194: 36–42
- [დემანდტი] 1999 Alexander Demandt: “Epochenbegriffe I: Alte Geschichte”, ლექსიკონში: Manfred Landfester et al. (edd.): *Der Neue Pauly. Enzyklopädie der Antike. Rezeptions- und Wissenschaftsgeschichte.* Band 13. Stuttgart; Weimar: Metzler, გვ. 996–1001
- [კულმანი] 1999 Peter Kuhlmann: “Epochenbegriffe III: Klassische Philologie”, ლექსიკონში: Manfred Landfester et al. (edd.): *Der Neue Pauly. Enzyklopädie der Antike. Rezeptions- und Wissenschaftsgeschichte.* Band 13. Stuttgart; Weimar: Metzler et al., გვ. 1008–1015
- [ლიუტკე] 2001 Helmut Lüdtke: “Tote Sprachen”, კრებულში: *Language Typology and Language Universals. An international handbook / Sprachtypologie und Universalien. Ein internationales Handbuch / La typologie des langues et universaux linguistiques.* Manuel international. Edited by / Herausgegeben von / Edité par Martin Haspelmath, Ekkehard König, Wulf Österreicher, Wolfgang Raible. Berlin – New York: de Gruyter, გვ. 1678–1691 (ნაკვეთი 119)
- [მარი] 1908 Николай Марр: *Основные таблицы къ грамматикъ древне-грузинскаго языка съ предварительнымъ сообщениемъ о родствѣ грузинскаго языка съ семитическими.* С.-Петербургъ: Типографія Императорской Академіи Наукъ
- [სარჯველაძე, ზურაბ] 1984 Surab Sardschweladse: “Die Frage der Geschichtssperiodisierung der georgischen Literatursprache”, *Georgica* 7: 5–12
- [სარჯველაძე, ზურაბ] 1989 Surab Sardschweladse: “Aus der Geschichte des georgischen sprachwissenschaftlichen Denkens”, *Georgica* 12: 7–9
- სარჯველაძე, ზურაბ 1991: „ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდები“, *ბალავერი* 1991, 1-6: 178–190

- [ვატერი] 1815 Johann Severin Vater: *Litteratur der Grammatiken, Lexica und Wörtersammlungen aller Sprachen der Erde nach alphabetischer Ordnung der Sprachen, mit einer gedrängten Übersicht des Vaterlandes, der Schicksale und Verwandtschaft derselben / Linguarum totius orbis Index alphabeticus, quarum Grammaticae, Lexica, collectiones vocabulorum recensentur, patria significatur, historia adumbratur* a Joanne Severino Vatero. Berlin: in der Nicolaischen Buchhandlung
- [ფეითფული] 1953 R. Glynn Faithfull: “The concept of ‘living language’ in cinquecento vernacular philology”, *Modern Language Review* 48: 278–292
- [ფერგუსონი] 1959 Charles A. Ferguson: “Diglossia”, *Word* 15: 325–340
- [ფურეტიერი] 1690 Antoine Furetière: *Dictionnaire universel. Contenant généralement tous les mots françois tant vieux que modernes, & les termes de toutes les sciences et des arts*. La Haye – Rotterdam: Arnoud et Reinier Leers
- [ფურმანი] Manfred Fuhrmann 1983: Die Epochen der griechischen und der römischen Literatur, კრებულში: Bernard Cerquiliglini – Hans Ulrich Gumbrecht (edd.): *Der Diskurs der Literatur- und Sprachhistorie. Wissenschaftsgeschichte als Innovationsvorgabe* (Suhkamp Taschenbuch Wissenschaft 411). Frankfurt am Main: Suhrkamp, გვ. 537–554
- [ცქიტვიელი, თინათინ] 1987: “Об историческом словаре грузинского языка”, *Вопросы языкознания* 1987,1: 134–143
- [წერეთელი, მიხეილ] 1913–16 M. Tseretheli: “Sumerian and Georgian: a Study in comparative philology”, *Journal of the Royal Asiatic Society* 1913: 783–821; 1914: 1–36; 1915: 255–88; 1916: 1–58
- ხახანაშვილი, ალექსანდრე 1893–94: „მენიშვნები ძველის ქართულის შესახებ“, ივერია 1893, No. 275: 2–3; 1894, No. 65: 2–3
- ხახანაშვილი, ალექსანდრე 1901: „ქართული სამწერლო ენა“, ივერია 1901,82: 3
- შალამბერიძე, გიორგი 1966: ილია ჭავჭავაძის ენა (ახალი ქართული ენის კათედრის შრომები 9). თბილისი: თუ გამ-ბა
- [შარდენი] 1686 Jean Chardin: *Journal du Voyage du Chevalier Chardin en Perse & aux Indes Orientales Par la Mer Noire & par la Colchide. Première Partie, qui contient Le Voyage de Paris à Ispahan*. Londres: chez Moyses Pitt
- [ჩუბინაშვილი] 1886 *Русско-грузинский словарь вновь составленный по новейшим русским словарямъ Давидомъ Цубиновымъ*. Санкт-петербургъ: типографія Императорской Академии Наукъ
- [ჰუმბოლდტი] 1809 Wilhelm von Humboldt: “Ueber die mit dem Koenigsbergischen Schulwesen vorzunehmende Reformen” [axali gamocema:

Wilhelm von Humboldt: *Werke*. Band 13: *Nachträge*. Herausgegeben von Albert Leitzmann unter Mitwirkung von Siegfried A. Kähler und Eduard Spranger (= *Gesammelte Schriften*. Herausgegeben von der Königlich Preußischen Akademie der Wissenschaften. Abteilung 1, 13). Berlin 1920, გვ. 259–276]

[ჰუმბოლდტი] 1836 Wilhelm von Humboldt: *Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts*. Berlin: Druckerei der Königlichen Akademie der Wissenschaften, in Commission bei F. Dümmler

გერმანულიდან თარგმნა
რეზო კიკნაძემ
ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია